ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №25

2010 წლის 19 ოქტომბერი

ქ. ახმეტა

ახმეტის მუნიციპალიტეტის გამგეობის ადმინისტრაციული სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ

„ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 22-ე მუხლის 1-ლი პუნქტის „თ“ ქვეპუნქტის, 43-ე მუხლის მე-2 პუნქტის და „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის 25-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

1. დამტკიცდეს ახმეტის მუნიციპალიტეტის გამგეობის ადმინისტრაციული სამსახურის დებულება (თან ერთვის).

2. ძალადაკარგულად გამოცხადდეს ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2008 წლის 31 იანვრის №1 დადგენილება „ახმეტის მუნიციპალიტეტის გამგეობის აპარატის დებულების დამტკიცების შესახებ”.

3. დადგენილება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე ა. მაილაშვილი

შეტანილი ცვლილებები:

1. ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2011 წლის 20 ივლისის დადგენილება №20 - ვებგვერდი, 28.07.2011 წ.

2. ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2011 წლის 5 აგვისტოს დადგენილება №26 - ვებგვერდი, 16.08.2011 წ.

3. ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2011 წლის 16 სექტემბრის დადგენილება №34 - ვებგვერდი, 26.09.2011 წ.

დანართი №1

ახმეტის მუნიციპალიტეტის გამგეობის ადმინისტრაციული სამსახურის

დ ე ბ უ ლ ე ბ ა

მუხლი 1. ახმეტის მუნიციპალიტეტის გამგეობის ადმინისტრაციული სამსახური

1. ახმეტის მუნიციპალიტეტის გამგეობის ადმინისტრაციული სამსახური (ტექსტში შემდგომში-სამსახური) წარმოადგენს მუნიციპალიტეტის გამგეობის სტრუქტურულ ერთეულს, რომელიც ახორციელებს გამგეობის საქმიანობის ორგანიზაციულ, დოკუმენტურ, ანალიტიკურ, საინფორმაციო და მატერიალურ-ტექნიკურ მომსახურეობას.

2. სამსახურის ფუნქციაა: უზრუნველყოს გამგეობის მუშაობისათვის შესაბამისი პირობების შექმნა, კომუნიკაცია თვითმმართველობის ორგანიზაციებთან, სამსახურებთან, ტერიტორიულ ორგანოებთან, მოქალაქეებთან, იურიდიულ პირებთან, სახელმწიფო ორგანოებთან, სხვა თვითმმართველ ერთეულებთან.

3. სამსახური ახორციელებს გამგეობის მუშაობის შესახებ მოსახლეობისათვის ინფორმაციის მიწოდებას და ორგანიზაციულად უზრუნველყოფს მოქალაქეთა ურთიერთობას გამგეობასთან.

4. სამსახური წარმოადგენს გამგეობის მუდმივმოქმედ, მუდმივი და ანაზღაურებადი შტატების საფუძველზე შექმნილ სტრუქტურულ ერთეულს.

5. სამსახური არ არის იურიდიული პირი. სამსახურს აქვს ბლანკი, შტამპი – შემოსული და გასული დოკუმენტებისათვის, მრგვალი ბეჭედი საკუთარი დასახელებით.

6. სამსახურის საქმიანობის და სამსახურის თანამშრომელთა შრომის ანაზღაურება ხორციელდება თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტიდან.

ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2011 წლის 20 ივლისის დადგენილება №20 - ვებგვერდი, 28.07.2011 წ.

ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2011 წლის 5 აგვისტოს დადგენილება №26 - ვებგვერდი, 16.08.2011 წ.

მუხლი 2. სამსახურის საქმიანობის სამართლებრივი საფუძვლები

1. სამსახურის საქმიანობის სამართლებრივი საფუძვლებია: საქართველოს კონსტიტუცია, „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონი, „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონი, სხვა საკანონმდებლო და კანონქვემდებარე აქტები, საკრებულოს და საკრებულოს თავმჯდომარის სამართლებრივი აქტები, გამგეობის დებულება და წინამდებარე დებულება, რომელიც განსაზღვრავს ადმინისტრაციის სამსახურის სტატუსს, სტრუქტურას, უფლებამოსილებას, ანგარიშვალდებულებას და აწესრიგებს მის საქმიანობასთან დაკავშირებულ სხვა საკითხებს.

2. სამსახური ანგარიშვალდებულია გამგებლის წინაშე, რომელიც ახორციელებს მასზე სამსახურებრივ ზედამხედველობას, კანონმდებლობით დადგენილი წესით.

მუხლი 3. სამსახურის ძირითადი ამოცანები და ფუნქციები

1. სამსახური ახორციელებს გამგეობის სტრუქტურული ერთეულების და ტერიტორიული ორგანოების საინფორმაციო, სამართლებრივ, მატერიალურ-ტექნიკურ და ორგანიზაციულ მომსახურებას.

2. სამსახურის ძირითადი ამოცანებია:

ა) გამგებლის დავალების შესაბამისად, გამგეობის სამუშაო გეგმის, პროექტის და გამგეობის საქმიანობის შესახებ ანგარიშის მომზადება საკრებულოს თავმჯდომარისათვის წარსადგენად;

ბ) გამგებლის თათბირების ორგანიზაციული უზრუნველყოფა, მიღებული გადაწყვეტილებებისა და დავალებების შესრულების ორგანიზება და კონტროლი;

გ) საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა;

დ) გამგეობაში ერთიანი საქმისწარმოების ორგანიზება, შემოსული და გასული ოფიციალური კორესპონდენციების, წერილების აღრიცხვა, რეგისტრაცია, დანიშნულებისამებრ განსახილველად გადაცემა, მათზე რეაგირების კონტროლი;

ე) (ამოღებულია - 05.08.11 №26);

ვ) გამგეობის მოსამსახურეთა საკადრო დოკუმენტების, პირადი საქმეების გაფორმება და აღრიცხვა, საპენსიო საბუთებისა და ყოველწლიური შვებულების გაფორმება, სამართლებრივი აქტების პროექტების მომზადება გამგეობის მოსამსახურეთა მიღება-განთავისუფლების, დაჯილდოების, წახალისებისა და დისციპლინური პასუხისმგებლობის თაობაზე, კონტროლი მომსახურეთა მიერ შინაგანაწესის შესრულებაზე, საჭიროების შემთხვევაში საიდუმლო საქმისწარმოების განხორციელება;

ზ) მუნიციპალიტეტის საკრებულოსა და გამგეობის საქმიანობის მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფა ადგილობრივი ბიუჯეტით გათვალიწინებულ ასიგნებათა შესაბამისად;

თ) მოქმედი კანონმდებლობის, საკრებულოს და საკრებულოს თავმჯდომარის სამართლებრივი აქტების, გამგეობის დებულების, წინამდებარე დებულების და გამგებლის დავალებით სხვა უფლებამოსილების განხორციელება.

3. სამსახური ანგარიშვალდებულია გამგებლის წინაშე, რომელიც ახორციელებს მასზე სამსახურებრივ ზედამხედველობას.

ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2011 წლის 20 ივლისის დადგენილება №20 - ვებგვერდი, 28.07.2011 წ.

ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2011 წლის 5 აგვისტოს დადგენილება №26 - ვებგვერდი, 16.08.2011 წ.

მუხლი 4. სამსახურის უფროსი

1. სამსახურის მუშაობას ხელმძღვანელობს, ორგანიზაციას და კოორდინაციას უწევს სამსახურის უფროსი, რომლსაც თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს გამგებელი.

2. სამსახურის უფროსი:

ა) უძღვება სამსახურის საქმიანობას;

ბ) შეიმუშავებს და გამგებელს წარუდგენს სამსახურის და გამგეობის საშტატო ნუსხას საკრებულოს თავმჯდომარისათვის წარსადგენად;

გ) გამგებელს თანამდებობაზე დასანიშნად და თანამდებობიდან გასათავისუფლებლად წარუდგენს სამსახურის საჯარო მოხელეთა კანდიდატურებს;

დ) ამზადებს წინადადებებს სამსახურის მოსამსახურის წახალისების ან მისთვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრების შესახებ საკრებულოს თავმჯდომარისათვის წარსადგენად;

ე) გამგებელს წარუდგენს ყოველწლიურ ანგარიშს სამსახურის მიერ გაწეული მუშაობის შესახებ;

ვ) ადგენს გამგეობის შინაგანაწესს და საქმისწარმოების წესს, რომელიც გამგებლის მიერ დასამტკიცებლად წარედგინება საკრებულოს თავმჯდომარეს;

ზ) ახორციელებს მუნიციპალიტეტის საკრებულოს, საკრებულოს თავმჯდომარის სამართლებრივი აქტებით, გამგეობის დებულებით და ამ დებულებით განსაზღვრულ სხვა უფლებამოსილებებს.

3. სამსახურის უფროსი ანგარიშვალდებულია გამგებლის წინაშე.

მუხლი 5. სამსახურის სტრუქტურა

1. სამსახური შედგება სამსახურის უფროსისა და სტრუქტურული ქვედანაყოფებისაგან.

2. სამსახურის სტრუქტურული ქვედანაყოფია მატერიალურ-ტექნიკური მომსახურების განყოფილება.

ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2011 წლის 20 ივლისის დადგენილება №20 - ვებგვერდი, 28.07.2011 წ.

ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2011 წლის 5 აგვისტოს დადგენილება №26 - ვებგვერდი, 16.08.2011 წ.

მუხლი 6. (ამოღებულია - 20.07.2011, №20)

მუხლი 7. მატერიალურ-ტექნიკური მომსახურების განყოფილების ფუნქციები

მატერიალურ-ტექნიკური მომსახურების განყოფილება დადგენილი წესით უზრუნველყოფს:

ა) საინფორმაციო-საკომუნიკაციო სისტემის გამართულ ფუნქციონირებას;

ბ) საოფისე ავეჯის, კომპიუტერების და სხვა ტექნიკის მოვლა-პატრონობას, რემონტს და ტექნიკურ მომსახურებას;

გ) საკრებულოს, გამგეობის სტრუქტურული ერთეულებისა და ტერიტორიული ორგანოების საოფისე მასალებით მომარაგებას, ინვენტარით, ტექნიკითა და სხვა აღჭურვილობით სარგებლობის წესების დაცვას;

დ) საკრებულოს, გამგეობის სტრუქტურული ერთეულებისა და ტერიტორიული ორგანოების სარგებლობაში არსებული სატრანსპორტო საშუალებების მოვლა-პატრონობას, რემონტსა და ტექნიკურ მომსახურებას;

ე) მოქმედი კანონმდებლობითა და მუნიციპალიტეტის სამართლებრივი აქტებით განსაზღვრული სხვა ფუნქციების განხორციელებას.

ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2011 წლის 5 აგვისტოს დადგენილება №26 - ვებგვერდი, 16.08.2011 წ.

მუხლი 8. ადმინისტრაციული სამსახურის საჯარო მოსამსახურეები

1. სამსახურის საჯარო მოსამსახურეები არიან ადგილობრივი თვითმმართველობის მოხელეები, რომლებსაც თანამდებობაზე ნიშნავს და ათავისუფლებს გამგებელი საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად, გარდა ,,საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 99-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევისა.

2. გადაწყვეტილებას მოსამსახურეთა წახალისებისა და მათთვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრების შესახებ იღებს საკრებულოს თავმჯდომარე გამგებლის წინადადების საფუძველზე.

3. სამსახურის საჯარო მოსამსახურეები ანგარიშვალდებულნი არიან სამსახურის უფროსის წინაშე.

4. სამსახურის საჯარო მოსამსახურეთა უფლება-მოვალეობები, გარანტიები, წახალისებისა და პასუხისმგებლობის საკითხები რეგულირდება ,,საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონითა და სხვა ნორმატიული აქტებით, აგრეთვე ახმეტის მუნიციპალიტეტის სამართლებრივი აქტებით.

ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2011 წლის 16 სექტემბრის დადგენილება №34 - ვებგვერდი, 26.09.2011 წ.

მუხლი 9. (ამოღებულია)

ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2011 წლის 16 სექტემბრის დადგენილება №34 - ვებგვერდი, 26.09.2011 წ.

მუხლი 10. დებულებაში ცვლილებების ან/და დამატებების შეტანა

ამ დებულებაში ცვლილებების ან/და დამატებების შეტანა ხდება „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ" საქართველოს ორგანული კანონისა და „ნორმატიული აქტების შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად.

ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2011 წლის 20 ივლისის დადგენილება №20 - ვებგვერდი, 28.07.2011 წ.

ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2011 წლის 16 სექტემბრის დადგენილება №34 - ვებგვერდი, 26.09.2011 წ.